არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"

სენაკი, ა. წერეთლის ქ .#1

ტელ 579 92 74 74.
xelovnebiscentri@gmail.com

N 102

13 ნოემბერი 2025 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2025 წლის 5 ნოემბრის N40-4025309112 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ, ა(ა)იპ„სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი"ს 2025 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობების ანგარიშს.

დანართი 7 ფურცელი

პატივისცემით,

ვეფხვია ვეფხვაძე
ა(ა)იპ„სენაკის მუნიციპალიტეტის
ხელოვნების ცენტრი"ს დირექტორი

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი

2025 წელს I და II კვარტალში განხორციელებული საქმიანობების ანგარიში

შინაარსი

1. ***ცენტრის მართვა:*** *დაგეგმვა, ორგანიზება, კორდინირება, კონტროლი.*
2. ***სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა:*** *სამუსიკო და სამხატვრო სკოლები.*
3. ***შემოქმედებითი გარემოს წახალისება და სტიმულირება:*** *ხელოვნების საკვირაო სკოლის პროექტი, ანსამბლი „გოგალაი".*

1. *ცენტრის მართვის ფუნქცია: დაგეგმვა, ორგანიზება, კორდინირება, კონტროლი.*

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი კოორდინაციას უწევს სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას, რომლის სისტემაში ფუნქციონირებს ადმინისტრაცია, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, შემოქმედებითი ჯგუფი/ანსამბლი, ხორციელდება „ხელოვნების საკვირაო და საზაფხულო სკოლების" პროექტები. ცენტრი განთავსებულია ორ სხვადახვა შენობასა და მისამართებზე.

სენაკის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ცენტრის სუბსიდიურ დაფინანსებას ფუნქციონირებისთვის და მატერიალურ-ტექნიკური ხარჯებისათვის. ცენტრი ამზადებს ანგარიშებს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოსთვის.

საანგარიშო პერიოდში ცენტრის საქმიანობა წარიმართა ადმინისტრაციის, სახელოვნებო-საგანმანათლებლო, შემოქმედებითი გეგმების შესაბამისად. ცენტრის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულია 48 ადამიანი, რომელიც 2025 წლის ივნისის მონაცემით ემსახურება 478 მოსწავლეს. სამუსიკო სკოლაში ირიცხება: 264 მოსწავლე, სამხატვრო სკოლაში ირიცხება 102 მოსწავლე, შემოქმედებით პროექტში - „ხელოვნების საკვირაო სკოლა"- 112 მოსწავლე (მუსიკის მიმართულებით-82, ხატვის მიმართულებით - 17, სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნება - 13). ხელოვნების ცენტრში სისტემატიურად შუქდება სახელოვნებო-საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ინფორმაცია, სოციალურ ქსელში „facebook"-ს საშუალებით 150-მდე სხვადასხვა სახის პოსტი იქნა გაშუქებული.

1.1 საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- ✓ *ცენტრის ხელმძღვანელობა მონაწილეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს შესაბამის სამუშაო სხდომებზე.*
- ✓ *2025 წელს ხელოვნების ცენტრის სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამები დაამთავრა 53-მა მოსწავლემ (სამუსიკო მიმართულება-32, სამხატვრო-21);*
- ✓ *სამუსიკო სკოლაში ირიცხებოდა: 264 მოსწავლე;*
- ✓ *სამხატვრო სკოლაში ირიცხებოდა: 102 მოსწავლე;*
- ✓ *2025 წელს შეღავათის პროგრამის ფარგლებში გადასახადიდან გათავისუფლებულია 74 მოსწავლე:*
- *სოციალურად დაუცველები: 36 (სამუსიკო სკოლა -26, სამხატვრო სკოლა-10).*
- *ერთი ოჯახიდან და-ძმა-29 (სამუსიკო სკოლა - 25, სამხატვრო სკოლა-4);*
- *სამხედროს შვილები 9 (სამუსიკო - 6, სამხატვრო -3).*
- ✓ *ცენტრი ემსახურება სახელოვნებო განათლების მსურველებს მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან (ჩხოროწყუ, აბაშა, ხობი და მარტვილი) ჩარიცხულია 12 მოსწავლე;*
- ✓ *სენაკის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან ჩარიცხულია (მუსიკის მიმართულებით-63, ხატვის მიმართულებით - 27,ხელოვნების საკვირაო სკოლა-30). სულ:120 მოსწავლე.*
- ✓ *ცენტრში რეგულარულად ტარდებოდა შიდა საკოორდინაციო სამუშაო - შეხვედრები. მუდმივად ხორციელდებოდა მშობლებთა და მოსწავლეთა კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე.*
- ✓ *მონიტორინგი უტარდება დასაქმებულთა, მოსწავლეთა და მშობელთა საინფორმაციო გაზებს.*
- ✓ *ცენტრს გააჩნია ადგილობრივი, რეგიონული და რესპუბლიკური ღონისძიებების კალენდარი.*

- ✓ *ეტაპობრივად ხორციელდება საგანმანათლებლო რესურსების განახლება.*
- ✓ *ხელოვნების ცენტრის 10 პედაგოგი პარალელურად დასაქმებულია საჯარო და კერძო სკოლებში.*
- ✓ *შემოქმედებითი მხარდაჭერის მიზნით ცენტრი ახორციელებს პროექტს: ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა", სადაც ჩართულია 112 მოსწავლე.კერძოდ:*
- *სამუსიკო მიმართულებაზე ჩარიცხულია (ისწავლება მუსიკალურ ინსტრუმენტზე შესრულება და სიმღერა)-82 მოსწავლე;*
- *სივრცითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებაზე ჩარიცხულია (ხაზვა, პროპორცია, რიტმი, სივრცე, ფუნქცია და კონსტრუქცია,მაკეტირება-ქაღალდის მხატვრული გამოჭრა)-13 მოსწავლე;*
- *ხატვის საფუძვლებს ეუფლება-17 მოსწავლე;*
- ✓ *ცენტრის დოკუმენტბრუნვა: 286. შემოსული მომართვა - 35, გასული მომართვა - 29. განცხადება - 132, მოხსენებითი ბარათი -16, ანგარიში-1, მივლინება-5, სხვადასხვა ბრძანებები - 66.*
- ✓ *მაისი თვეში დასრულდა სამუსიკო სკოლის სარემონტო სამუშაოები.*

კონკურს-ფესტივალებში აქტიური მონაწილეობისათვის მაღალი შეფასებები მიიღეს მოსწავლეებმა და პედაგოგებმა:

საანგარიშო პერიოდი ხელოვნების ცენტრისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო, როგორც შემოქმედებითი მიღწევებით, ისე სახელოვნებო საგანმანათლებლო ინიციატივებით. გაიზარდა როგორც საგანმანათლებლო ჩართულობა, ასევე შემოქმედებითი აქტივობების ხარისხი.

მოსწავლეთა მიღწევები, მიენიჭათ წოდებები. კერძოდ: ***გრან-პრი – 1, ლაურეატი – 13, დიპლომი – 50, სიგელი – 31, სერტიფიკატი - 1, I ადგილი – 11, II ადგილი – 9, III ადგილი – 4, მადლობის სიგელი -2.*** მონაწილეობა მიღებულია ადგილობრივ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო მნიშვნელობის 70-მდე აქტივობაში, მათ შორის:

- სამუსიკო სკოლა: საერთაშორისო, რეგიონული და მუნიციპალური კონკურსები – 21, მასტერკლასი – 2, შიდა სასკოლო კონცერტები – 9, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები (ღია გაკვეთილი, მოსმენა, ვიქტორინა, ჩათვლა, დამამთავრებელი და მისაღები გამოცდები) – 19.
- სამხატვრო სკოლაში: გამოფენები – 7, პლენერი – 1, პრეზენტაცია – 1, პერსონალური გამოფენა – 1, შუალედური შეფასება – 1.
- ანსამბლმა ,,გოგალაიმ" მონაწილეობა მიიღო 6 კონცერტი.
- სენაკის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, ხუთი ნიჭიერი მოსწავლე ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

პედაგოგთა და კურსამთარებულთა მიღწევები:

- ✓ საუკეთესო პედაგოგის ტიტული ლეილა მიქაბაძე, შორენა ზვიადაძე, თენგიზ გვენეტაძე.
- ✓ საუკეთესო კონცერტმაისტერი: რუსუდან მილიუტინი, ინგა გადელია.
- ✓ თურქეთში გამართულ კონკურსზე — შორენა ზვიადაძე (საუკეთესო პედაგოგი);
- ✓ ქ. ზესტაფონში — შორენა ზვიადაძე და ლელა მიქაბაძე (საუკეთესო პედაგოგები).
- ✓ დიპლომები წარმატებული მონაწილეობისათვის - რუსუდან მილიუტინი და გრიალა სამინავა:

- სამუსიკო პროფესიული განათლების მიღების მიზნით სკოლის სამმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელეს:
- ✓ ქ.თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში;
- ✓ ქ.თბილისის კონსერვატორიის სამუსიკო სემინარში (საგუნდო-სადირიჟორო მიმართულებით);
- ✓ ქ.ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში (ფორტეპიანოს ფაკულტეტი).

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროფესიული განათლების მიღების მიზნით, სამხატვრო სკოლის ორმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო აკადემიის ხატწერისა და მონუმენტური რესტავრაციის ფაკულტეტზე.

1.2. ხელოვნების ცენტრის მიერ მონაწილოება მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურს ფესტივალებში

- 7 იანვარი - საქველმოქმედო აქცია საშობაო ,,ალილო".
- 17 მარტი - ქ.წყალტუბოში ი.ს. ბახის სახელობის მე-8 ეროვნული კონკურსი.მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო(ფლეიტა) განყოფილებების მოსწავლეებმა;

- 23 მარტი - ქალაქ თბილისში, კომპოზიტორთა სახლში, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შემოქმედთა კავშირის ორგანიზებით, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XVII რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის - ,,იპოვე შენი ვარსკვლავი" შესარჩევი ტური ჩატარდა;
- 29 მარტი - ქალაქ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში, კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალის ,,მომავლის ვარსკვლავები" შესარჩევი ტური გაიმართა.
- 5 აპრილი - საქართველოს ხელოვნებისა და მუსიკის აკადემიის ინიციატივით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში, ,,ქართული კლასიკური მუსიკის IX ეროვნული კონკურსი" ჩატარდა. მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის საორკესტრო(ვიოლინო) და საესტრადო (ვოკალი) და საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა;
- 8 აპრილი - საქართველოს ხელოვნებისა და მუსიკის აკადემიის ინიციატივით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში, ,,ქართული კლასიკური მუსიკის IX ეროვნული კონკურსი"-ს გალა კონცერტი და ლაურეტთა დაჯილდოება.
- 23 – 29 აპრილი - თურქეთის ქალაქ სიდეში, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირის ,,ჰარმონია" და ტურისტული ფირმის ,, ვოიაჟ ტური" ინიციატივით, ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა XIII საერთაშორისო კონკურს- ფესტივალი ჩატარდა.

საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა მიიღო სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლემ.

- 25 აპრილი - ქალაქ ხობში, კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა 2025" გაიხსნა.მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გიტარის განყოფილების მოსწავლეებმა;
- 26 აპრილს, კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა 2025" მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ხალხური საკრავების განყოფილების ანსამბლმა;
- 27 აპრილი - ქალაქ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის მე-18 ეროვნული კონკურს-ფესტივალის ,,მომავლის ვარსკვლავები" გალა კონცერტი და ნომინანტთა დაჯილდოების ცერემონია გაიმარა. კონკურს-ფესტივალის გალა კონცერტზე მონაწილეობა წილად ერგო ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო(ფლეიტა) და გოგონათა ვოკალური ანსამბლის მოსწავლეებს;
- 30 აპრილი - ხობის კულტურის სასახლის დიდ საკონცერტო დარბაზში,კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა 2025" -ის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალი და გალა კონცერტი გაიმართა. კონკურს - ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა წილად ერგო ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გიტარის კლასის მოსწავლეს.
- 1 მაისი - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა გაიხსნა.გახსნის ცერემონიალზე მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გიტარის კლასის მოსწავლეებმა;
- 4 მაისი - ქალაქ თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში ,,მუზა", თბილისის კლასიკური მუსიკის აკადემიის ორგანიზებით, ბენიამინო ჯილის სახელობის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო (ვიოლინო) და ვოკალური განყოფილებების მოსწავლეებმა;
- 17 მაისი - ქალაქ თბილისში, კომპოზიტორთა სახლში, საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შემოქმედთა კავშირის ორგანიზებით, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XVII რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსის - ,,იპოვე შენი ვარსკვლავი" გამარჯვებულთა დაჯილდოება და გალა კონცერტი გაიმართა.კონკურს-ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საორკესტრო (ვიოლინო, ფლეიტა) განყოფილების მოსწავლეებმა;
- 19-29 მაისი - სენაკის XII მუსიკალური ფესტივალი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს მხარდაჭერითა და ხელოვნების აკადემიის ინიციატივით გაიმართა და მისი დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ხელოვნების აკადემიის რექტორი, მსოფლიოში აღიარებული პიანისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე ვალერიან შიუკაშვილი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის 150-მდე მოსწავლემ.
- 20 მაისი - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გიტარისტთა ანსამბლის კონცერტი გაიმართა.
- 25 მაისი - სენაკის XII მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, ცნობილი შემსრულებლების - თამარ ლიჩელის, ლიზი რამიშვილის, გოჩა დათუსანის, გიორგი ხაინდრავას და ნათია ქავთარაძის მონაწილეობით, ქართული კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა

- 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და ხელოვნების ცენტრის ჩართულობით, სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა.საქართველოს დამოუკიდებლობის 107 წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამის ფარგლებში გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის გოგონათა ვოკალურმა კაპელამ, საესტრადო (ვოკალი) და გიტარის განყოფილებების მოსწავლეებმა, ფოლკლორულმა ჯგუფმა ,,მორდუმ" და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა ,,გოგალაიმ".
- 29 მაისი - სენაკის XII მუსიკალური ფესტივალის გალა კონცერტი და დაჯილდოების საზეიმო ცერემონია ჩატარდა. გალა კონცერტზე მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის ფესტივალის ლაურეატმა მოსწავლეებმა .
- 31 მაისი - სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა.კონცერტში მონაწილეობდნენ - საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური და გიტარის განყოფილების მოსწავლეები;
- 5 ივნისი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში, კარლ ჩერნის სახელობის III კლასიკური მუსიკის კონკურსი ჩატარდა. კონკურსში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეებმა მიიღეს;

➢ **ჩატარებული მასტერკლასი**

- 25 აპრილი - ქალაქ ხობში, კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა 2025"-ის ფარგლებში მასტერკლასი მიხეილ ჯავახიშვილთან;
- 26 აპრილი - ქალაქ ხობში, კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა 2025"-ის ფესტივალის ფარგლებში მასტერკლასი ტარიელ სუართან.

1.3 2025 წლის მაჩვენებლები

#	დაწესებულება	2025წ I-II კვარტლის გეგმა	სუბსიდიური დაფინანსება	საკუთარი შემოსავალი
1	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი	346.000	300.000	46.000

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 1066 ლარს. 2025 წლის 1ივლისის მდგომარეობით ა(ა)იპ-,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის"სულ მიღებული აქვს 341,539 ლარი.მ.შ სუბსიდია 300,000 ლარი, საკუთარი შემოსავალი 41.539 ლარი. მიღებული შემოსავლიდან ფაქტიურად გახარჯულია 335.622 ლარი. მ/შორის- შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 318.570 ლარი, საქონელი და მომსახურებაზე 17.052 ლარი. ნაშთი 01.07.2025 წლისათვის შეადგენდა 6.983 ლარს.

- **საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯები - 17052 ლარი.**

კავშირგაბმულობა-1269ლარი,ელ.ენერგია-2121,ლარი მივლინება-300, ლარი ბუნებრივი აირი - 940 ლარი, წყლის ხარჯი - 448 ლარი, საარქივო მომსახურება -23 ლარი,საოფისეავეჯის შეძენა-5000 ლარი, საჭირო მასალების დამატ. მარაგების შეძენა–935 ლარი, საკანცელარიო-400 ლარი, ტრანსპორტით მომსახურება 300 ლარი,112-ის მომსახურება - 10ლარი, ა(ა)იპ საქართველოს თვითმმართველი ერთეული ფინანსთა ასოციაცია- საწევრო შენატანი 4000 ლარი, სანიტარული საგნების ჰიგიენის საშუალებების შეძენა 500 ფარდა-806ლარი.

2.სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა.

2.1.სტრუქტურული ერთეული: სამუსიკო სკოლა

- სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებს ქ. სენაკში, წერეთლის ქ. N1-ში. სკოლას გააჩნია 3 სართულიანი შენობა, 2 საკონერტო დარბაზი (1 -დიდი და 1 მცირე) და საკლასო ოთახები შესაბამისი ინსტრუმენტებით. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 28 პედაგოგი, რომელთაგან 7 მაგისტრია, 4 ბაკალავრი და 17 პროფესიული განათლების პედაგოგი. სწავლის უფლებით სარგებლობენ მოზარდები 6 წლის ასაკიდან. დანერგილია მშობელთა მხრიდან თანადაფინანსების სისტემა. სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 5-7-9 წელს.
- კვირის განმავლობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორშაბათი - შაბათის ჩათვლით.
- სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, ჩელო, საქსაფონი, ფლეიტა, ალტი) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხურ საკრავთა ჯგუფები.

- სასწავლო პროცესში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები.
- სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო (და სხვა საკრავები), მუს.თეორიული და ვოკალური - მეთოდური ჯგუფები.
- სკოლას გააჩნია სამუშაო გეგმები, რომლის მიხედვით ხორციელდება მეთოდოლოგიური ღონისძიებები;
- სკოლაში ტარდება ჩათვლები, ლექციები, ვიქტორინები,დახურული და ღია კონცერტები.სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ რესპუბლიკურ, რეგიონულ და ადგილობრივ ღონისძიებებში.
- სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში გრან-პრი მიიღო 1-მა მოსწავლემ, ლაურეატის წოდება მიენიჭა-13 მოსწავლეს, I,II, III ადგილები - 15 მოსწავლეს, დიპლომები და სიგელები-95 მოსწავლეს გადაეცა.
- ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში შენობის რეაბილიტაციის გამო სწავლის პროცესი 15 მაისიდან განხორციელდა.

სამუსიკო სკოლაში განხორციელებული ღონისძიებები

- სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, ტრადიციულად ივნისის თვეში ტარდება პედაგოგთა წლის შემაჯამებელი საკლასო და მოსწავლეთა სოლო კონცერტები.
- 12 ივნისი - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგების: დალი შეროზიას და ია გვასალიას პირველი საკლასო კონცერტი გაიმართა.
- 19 ივნისი - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგების: ქეთევან ფულარიას და ინგა გადელიას საკლასო კონცერტი ჩატარდა.
- 23 ივნისი - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, მარინა ბერიშვილის საკლასო კონცერტი ჩატარდა.
- 26 ივნისი - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, გალინა ლუკიანცევას საკლასო კონცერტი ჩატარდა.
- 27 ივნისი -სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, ელენე ხოშტარიას საკლასო კონცერტი გაიმართა.
- 30 ივნისი - სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, სენაკის საპატიო მოქალაქის, სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელის, რუსუდან მილიუტინის საკლასო კონცერტი გაიმართა.

2.2 სტრუქტურული ერთეული- სამხატვრო სკოლა

- სამხატვრო სკოლა ფუნქციონირებს ქ.სენაკში,რუსთაველის ქ.#-152-ში, I სართულზე, რომელსაც გააჩნია საგამოფენო სივრცე და შესაბამისი სამუშაო ოთახები. სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 8 ადამიანი.
- სწავლის უფლებით სარგებლობენ 9 (ცხრა) წლის ასაკიდან. დანერგილია მშობელთა მხრიდან თანადაფინანსების სისტემა. სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.
- სკოლაში ისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, საგანი შერჩევით, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ძერწვა, კომპოზიცია.
- სკოლაში ფუნქციონირებს კონტინგენტის მისაღები, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების/ჩათვლების ჩამტარებელი კომისიები.სამხატვრო სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოფენები, გაკვეთილ-პლენერები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. სამხატვრო სკოლამ წელს პირველად მონაწილეობა მიიღო ისრაელის საელჩოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში – „80 წელი ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციიდან“, სადაც ერთ-ერთმა მოსწავლემ საელჩოსგან მადლობის სიგელი მიიღო. აგრეთვე პირველად ჩაერთო მუნიციპალურ ღონისძიებებში,როგორიც არის: ეროვნული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო; ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნის საღამო და ბოშების საერთაშორისო დღე. აღნიშნულ ღონისძიებებზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა თემატური ნამუშევრები.
- სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო გაკვეთილების ცხრილი,სემესტრიდან-სემესტრამდე მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად პედაგოგების მეთვალყურობის ქვეშ და სემეტრის ბოლოს ეწყობა ნამუშევრების გამოფენა. მოქმედებს სოციალური შეღავათების პროგრამა.

- **სამხატვრო სკოლაში განხორციელებული საქმიანობები.**

- 13 იანვარი -სამხატვრო სკოლაში მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე; „ქართული ეროვნული ტანისამოსი".
- 27 იანვარი - ისრაელის საელჩოს ორგანიზებით ჰოლოკოსტის ხსოვნისადმი მიძღვნილი მხატვრული კონკურსი თემით „80 წელი ნაცისტური გერმანიის კაპიტულაციიდან"

- 4 მარტი -სამხატვრო სკოლაში, ეროვნული გმირების: ჟიული შარტავას ,გურამ გაბესკირიას და გენო ადამიას დაბადების დღეების აღსანიშნავად,მოსწავლეებისა და პედაგოგების ნამუშევრების თემატური გამოფენა ჩატარდა.
- 21 მარტი - გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლის, პოეტის, სენაკის ღირსეული შვილის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 81-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გამართულ აქტივობებში, ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლაში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, თემაზე- ,,ნახატები ებრაელურ მოტივებზე".
- 8 აპრილი - ბოშათა საერთაშორისო დღის აღნიშვნას, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების თემატური გამოფენა მოეწყო;
- 10 აპრილი - სამხატვრო სკოლაში, 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით თემატური გაკვეთილი ჩატარდა და ნახატების გამოფენა მოეწყო;
- 19 აპრილი - სამხატვრო სკოლაში, აღდგომის ბრწყინვალე დღესთან დაკავშირებით, თემატური ნახატების გამოფენა მოეწყო;
- 30 აპრილი - სამხატვრო სკოლაში ორი მეორეკლასელი მოსწავლის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა ჩატარდა;
- 8 მაისი - ქალაქის სკვერში,სამხატვრო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, გასვლითი ღია გაკვეთილი - პლენერი - სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში.
- 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლამ.ჟიული შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში მოეწყო სახეზე და ასფალტზე ხატვა, გამოიფინა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები.
- 17 ივნისი - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, სენაკის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებით, ,,ვეფხისტყაოსნის" დღეა ღინიშნა.ღონისძიების ფარგლებში ,,ვეფხისტყაოსნის"პერსონაჟების ხატვა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.
- 20 ივნისი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და ახალგაზრდა მოქანდაკეთა ჯგუფის ბექა ჩხაიძის ხელმძღვანელობით სამხატვრო სკოლას თაბაშირის სასწავლო ფიგურები სრულიად უსასყიდლოდ გადაეცა.

2. შემოქმედებითი გარემოს წახალისება და სტიმულირება.

3.1 პროექტი: ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა".

პროექტის მიზანია: ხელოვნების სწავლება შემოქმედებითობის, კომუნიკაციის და აღთქმის მიმართულებით. სადაც ხელი ეწყობა მოსწავლეების შემოქმედებითი, სააზროვნო, პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.ტარდება გაკვეთილები, ნახატების გამოფენები, პლენერები. ისწავლება მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა და სიმღერა, ხაზვა, ხატვა. მოსწავლეები მონაწილეობენ ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. პროექტის მონაწილეები დაინტრესების შემთხვევაში, უკვე მომზადებულები ირიცხებიან სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში.

1 თებერვალს, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრში, პროექტის - ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" - სახვითი (სივრცითი) და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით - ,,მომავლის არქიტექტორების" ფარგლებში, შუალედური შეფასება და ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

25 ივნისი - სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, პროექტის - ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" ,,მომავლის არქიტექტორები 2025-ის" ფარგლებში, სახვითი(სივრცითი)და დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების აბიტურიენტ მოსწავლეებთან შეხვედრა და მათი ნამუშევრების შემაჯამებელი გამოფენა მოეწყო. მიმდინარე წელს 7კურსდამთავრებულს გადაეცა სერტიფიკატი.

3.2 ანსამბლი ,,გოგალაი"

ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს ანსამბლი „გოგალაი", რომელიც აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ ღონისძიებებში:

- კონკურსი „ხალხური" — 800 მონაწილიდან შევიდა 40-ეულში
- საღამო „საზოგადოება ხობელები"
- სატელევიზიო გადაცემა „პოსტალიონი"

- ფესტივალი „ნანინა-2025“ — მადლობის სიგელი
- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სენაკში
- „ქართული ღვინის კუთხეების ფესტივალი-2025“ თბილისში